საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030166567503420

№ 01-493/ო **30 / სექტემბერი / 2020 წ.**

COVID-19-ის მსუბუქად მიმდინარე ფორმის მქონე პაციენტების იზოლაციის პირობებში სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელების ალგორითმის დამტკიცების თაობაზე

,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ,,COVID-19-ის მსუბუქად მიმდინარე ფორმის მქონე პაციენტების იზოლაციის პირობებში სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელების ალგორითმი“ თანდართული N1 დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,COVID-19-ის მსუბუქად მიმდინარე ფორმის მქონე პაციენტების იზოლაციის პირობებში სამედიცინო მეთვალყურეობის განხორციელების ალგორითმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 22 სექტემბრის N01-475/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე, ხოლო ბრძანების პირველი პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 28 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე